ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 47

21 დეკემბერი, 2020 წელი

15:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

სხდომა გახსნა კომისიის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა.

სხდომის დღის წესრიგი:

მიმდინარე საკითხების განხილვა.

კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილს, თავმჯდომარის პოზიციაზე სამწლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადეს. მიხეილ ამაშუკელმა კომისიის განვლილი საქმიანობა შეაფასა და მიმდინარე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

გაიზარდა კომისიის წევრთა რაოდენობა.

მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით მისთვის მნიშვნელოვანია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის პოზიციის დაკავება. ბოლო სამი წლის განმავლობაში, თბილისის საკრებულოში კომისია ერთ-ერთ წამყვან კომისიად ჩამოყალიბდა. საკრებულოს თითოეულ სხდომაზე ათობით ახალი ქუჩა ემატება თბილისს და ასობით მოქალაქეს უმარტივდება ცხოვრება.

ბოლო წლებში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ასობით სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის დამსახურება უკვდავყო, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი საზოგადოების განვითარებისთვის. მე, როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, სრულად ვაცნობიერებ იმ საჭიროებებს, რაც ჩვენს მოქალაქეებს აქვთ თანამედროვე დამისამართებასა და ქუჩათა მოწესრიგებულ ქსელებთან დაკავშირებით. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მხარს დაუჭერს და გააგრძელებს ყველა იმ პროცესს, რაც ჩვენი მოქალაქეების ინტერესებით არის განპირობებული.

კომისიის სხდომაზე იმსჯელეს ამ ეტაპისთვის შემოსულ კორესპონდენციებზე და მოთხოვნებზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი